DEVELOPMENT OF THE AGRICULTURAL INDUSTRY AS THE MOST IMPORTANT PREREQUISITE FOR THE FUNCTIONING OF THE COUNTRY'S ECONOMY

სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განვითარება როგორც ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა

David Chelidze
Doctor of Economics
Guest lecturer of
Saint Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia
Number: 5 99 34 50 22
E-mail: d_chelidze14@yahoo.com
ORCID: 0000-0001-8179-0822

Abstract In parallel with the analysis of the most important macroeconomic parameters of the country, namely the gross domestic product and the state debt, as well as the dynamics of their ratio, the first part of the paper discusses the dynamics of the main parameters of the formation of the country's international reserves, such as: the country's foreign trade balance, foreign direct investments and allocations from the country's budget for the servicers of the state debt.

According to the survey and analysis of statistical data showing the growing turnover of goods with Ukraine and the Russian Federation belonging to the category of Georgia's main economic partners, and the impact of the war between the mentioned countries, taking into account the probable risks of the existing economic relations with them, the paper expresses an opinion about the actualization of the country food security issue.

Taking into account the features of the country's agriculture, the paper presents an opinion on the necessity to develop agricultural products processing industries in the country.

Based on the analysis of the current tax legislation of the country and other normative acts regulating the activities of agricultural products processing enterprises, the author's opinions on the stimulation of the agricultural products processing industry are presented.

Key words: macroecinimic parameters, turnover, Agriculturaal products progressing industry

დავით ჭელიძე
ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
მობ. 5 99 34 50 22
ელ. ფოსტა: d_chelidze14@yahoo.com
ORCID: 0000-0001-8179-0822

აბსტრაქტი. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური პარამეტრების, კერძოდ მთლიანი შიდა პროდუქტის, სახელმწიფო ვალისა და მათი თანაფარდობის ანალიზის პარალელურად ნაშრომის პირველ ნაწილში, განხილულია ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების ფორმირების ისეთი ძირითადი პარამეტრების დინამიკა როგორებიცაა: საგარეო სავაჭრო სალდო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სახელმწიფო ვალის მომსახურებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები.

საქართველოს ძირითად ეკონომიკურ პარტნიორებთან: უკრაინასა და რუსეთის ფედერაციასთან უკანასკნელ პერიოდში გამოკვეთილი მზარდი საქონელბრუნვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების მოძიება-განხილვისა და ომის ზემოქმედებით აღნიშნულ ქვეყნებთან არსებული ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ტრანსპორმაციის სავარაუდო რისკების გათვალისწინებით გამოკვეთილია მოსაზრება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების განვითარების აუცილებლობის შესახებ.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების საქმიანობის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების ანალიზზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი ინდუსტრიის სტიმულირების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკური პარამეტრები, საქონელბრუნვა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი ინდუსტრია.

შესავალი

კაცობრიობის ისტორიული განვითარების განვლილ პერიოდებთან შედარებით, XXI საუკუნისათვის დამახასიათებელი ცვლილებების დინამიური პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა COVID-19-თან ბრძოლის თანმდევმა მოვლენებმა და რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინსთან დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა.

ეკონომისტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებების თანახმად ზემოაღნიშნული მოვლენები კარდინალურ ზემოქმედებას იქონიებენ წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ მსოფლიო გეოპოლიტიკურ ბალანსსა და ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებზე. აქედან გამომდინარე სადღეისოდ პრაქტიკულად ნებისმიერი, განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ და უცხოურ დახმარებებზე დამოკიდებული ქვეყნებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, ახალ რეალობებთან მაქსიმალურად მისადაგებული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს ეკონომიკის ძირითადი პარამეტრების დინამიკა

როგორც ცხრილ#1-ში დაფიქსირებული მონაცემები ცხადყოფენ მიმდინარე ფასებში გამოხატული საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2017-დან 2022 წლამდე 20,0 მილიარი ლარით, ანუ 49 პროცენტული ერთულით არის გაზრდილი. მაშინ როცა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებში დაფიქსირებული სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა ზრდის ბევრად მაღალი ტემპით, (96,9%-ი) ხასიათდება.

საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარამეტრების დინამიკა[1]

---

[1] . ცხრილში დაფიქსირებული ინფორმაცია მოპოვებულია საქართველოს სტატიკის ეროვნული სამსახურის, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლების კანონების მიღების დღისთვის ამ კანონებში დაფიქსირებულ, მონაცემებზე დაყრდნობით. https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit

* საქართველოს სტატიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით დაზუსტებული მონაცემი გამოქვეყდება 2022 წლის 15 ნოემბერს.

ცხრილი #1

წლები/მაჩვენებლები	*2017*	*2018*	*2019*	*2020*	*2021*
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდ. ფას. (მლრდ. ლარი)	*40,8*	*44,6*	*49,3*	*49,3*	*60,8**
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*109,3%*	*120,8%*	*120,8%*	*149,0%*
მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წლის ფას. (მლრდ. ლარი)	*36,6*	*38,4*	*40,3*	*37,6*	*41,5**
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*104,9%*	*10,1%*	*102,7%*	*113,4%*
საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგ. ზღვრული მოცულობა შესაბამისი წლის ბოლოს (მლნ.ლარი)	*15,9*	*17,9*	*19,8*	*23,4*	*31,3*
ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*112,7%*	*124,4%*	*47,3%*	*196,9%*
ხვ. წილი მიმდინარე ფასებში დაფიქსირებულ მშპ-სთან	*39,0%*	*40,1%*	*40,2%*	*47,5%*	*51,5%*
სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა შესაბამისი წლის ბოლოს (მლნ.ლარი)	*3,6*	*3,9*	*4,4*	*5,5*	*5,8*
ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*108,3%*	*122,2%*	*152,8%*	*161,1%*
ხვ. წილი მიმდინარე ფასებში დაფიქსირებულ მშპ-სთან	*8,8%*	*8,7%*	*8,9%*	*11,2%*	*9,5%*
სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა შესაბამისი წლის ბოლოს (მლნ.ლარი)	*12,3*	*14,0*	*15,4*	*18,0*	*25,5*
ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*113,8%*	*125,2%*	*146,3%*	*207,3%*
ხვ. წილი მიმდინარე ფასებში დაფიქსირებულ მშპ-სთან	*30,1%*	*31,4%*	*31,2%*	*36,5%*	*41,9%*

სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ამავე პერიოდში, მუდმივ, 2015 წლის ფასებში გამოხატული ქვეყნის რეალური მთლიანი პროდუქტის 4,9 მლირდი ლარით, ანუ მხოლოდ 13,4%-ული ერთეულით, (სახელმწიფო ვალის ზრდის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალი ტემპით) ზრდის მაჩვენებლი.

სახელმწიფო ვალის ზრდის ზემოაღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, ასევე არასასურველ, თუმცა ლოგიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 2017-21 წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალის ორივე, როგორც საშინაო ისე საგარეო კომპონენტის ზრდის ცხრილ#1-ში დაფიქსირებული ტენდენცია. არნიშნულის პარალელურად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ქვეყნის საშიანაო ვალის 2,2 მლრდი ლარით (61,1%), ზრდის ფონზე ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვნად მაღალი (13,2 მლრდი ლარით, 107,3%) ტემპით ზრდის გამოკვეთილი ტენდენცია.

შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის იმ მეთოდიკაზე („საგარეო ვალის სტატისტიკა, გზამკვლევი შემდგენელებისა და მომხმარებლებისთვის" *„External Debt Statistics, Guide for Compilers and Users". International Monetary Fund. Washington, 2013),* დაყრდნობით გაანგარიშებული ქვეყნის „მთლიანი საგარეო ვალი"-ს ოდენობა, რომლშიც ასახულია: -„დროის კონკრეტული მომენტისათვის არსებული ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულების ის გადაუხდელი თანხა, რომელიც სამომავლოდ მოითხოვს ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის, ძირითადი ან/და სარგებლის სახით გადახდას" (იხ. ცხრილი #2). (ხუციშვილი ა., ჭელიძე ლ., ჭელიძე დ., 2019, გვ. 31).

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი საგარეო ვალის თანაფარდობის დინამიკა

ცხრილი #2

*წლები/მაჩვენებლები***	*2017*	*2018*	*2019*	*2020*	*2021*
მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლრდ. აშშ. დოლარი)	*16,2*	*17,6*	*17,5*	*15,8*	*18,7*
*მთლიანი საგარეო ვალი ** (მლრდ. აშშ. დოლ)*	*17,3*	*17,8*	*18,8*	*20,8*	*22,8*
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*102,9%*	*107,4%*	*108,7%*	*131,8%*

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ბანკისა და ეკონომიკური პროფილის სხვა სტრუქტურების ოფიციალურ ვებ გვერდებსა და გამოცემებში არ იძებნება ცხრილში დაფიქსირებული პერიოდის, (განსაკუთრებით 2021 წლის) ეროვნული ვალუტაში გამოსახული მონაცემები, ცხრილი #1 შეგენილია ამავე წყაროებში არსებული-უცხოურ ვალუტაში გამოხატულ პარამეტრებში.

ხვედრითი წილი მშპ-თან	*106,8%*	*101,1%*	*107,4%*	*131,6%*	*131,6%*
მ.შ.					
სამთავრობო სექტორი (მლნ. აშშ. დოლარი)	*5 296,2*	*5 384,0*	*5 725,9*	*7 428,1*	*7 956,6*

** მონაცემები აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის წყაროზე დაყრდნობით https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

როგორც ცხრილ#2-ში დაფიქსირებული მონაცემები ცხადყოფენ 2017-დან 2022 წლამდე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ქვეყნის «მთლიანი საგარეო ვალი» 5,5 მლრდი დოლარით, ანუ 31,8 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი. რაც თავისთვად არასასურველ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა შექმნილი სიტუაციის სიმძიმეს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის იმ დიპაზონში (106.8-131,6%) არსებობა განაპირობებს, რომლიც მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფო (საგარეო და საშინაო) ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველო ორგანული კანონით დადგენილ, 60%-იან ზღვრულ მაჩვენებელს.

როგორც ცნობილია სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სტიმულირების პრაქტიკა მრავალი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებითა და ექსპერტთა შეფასებებით მხოლოდ დროის ხანმოკლე პერიდშია გამართლებული. აქედან გამომდინარე საქართველოს უახლესი ისტორიული წარსულში დაწყებული და თითქმის 30 წლის მანძილზე გამოკვეთილი სახელმწიფო ვალის ყოველწლიური ზრდის დამკვიდრებული პრაქტიკა ჩვენი აზრით უაღრესად კრიტიკულ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფო ვალის ზრდის ერთ-ერთი გარდაუვალი შედეგის სახით მოსალოდნელი ქვეყნის საბიუჯეტო ვალდებულებების ზრდა, როგორც წესი უმიმეს სამომავლო ტვირთად აწვება ეკონმიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას და აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, შესაბამისად უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია ცხრილ #3-ით წარმოდგენილი მონაცემების განხილვა-ანალიზი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები [2]

ცხრილი #3

წლები/მაჩვენებლები	*2017*	*2018*	*2019*	*2020*	*2021*
*მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლრდ. აშშ დოლარი)**	*16,2*	*17,6*	*17,5*	*15,8*	*18,7*
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*108,6%*	*108,0%*	*97,5%*	*115,4%*
საგარეო ვაჭრობის სალდო (მლრდ. აშშ დოლარი)	*-5,3*	*-6,0*	*-5,7*	*-4,7*	*-5,9*
ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*113,2%*	*107,5%*	*88,7%*	*111,3%*
ხვედრითი წილი მშპ-სთან	*32,7%*	*34,1%*	*32,6%*	*29,7,1%*	*31,6%*
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლრდ. აშშ. დოლარი)	*1,98*	*1,32*	*1,34*	*0,57*	*1,15*
ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*65,0%*	*65,0%*	*30,0%*	*60,0%*
ხვედრითი წილი მშპ-სთან	*12,3%*	*7,4%*	*7,4%*	*3,8%*	*6,4%*
სახ. ბიუჯ-ის ვალდებულებ. კლება (მლრდ ლარი)	*0,526*	*0,749*	*0,967*	*1,033*	*2,722*
ეროვნული ვალუტის კურსი GEL/USD	*2,5*	*2,66*	*2,9638*	*4,1049*	*4,3391*
სახ. ბიუჯ-ის ვალდებულებ. კლება					

[2] · ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლების მონაცემებზე დაყრდნობით *https:// www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp ; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba*

* იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ბანკისა და ეკონომიკური პროფილის სხვა სტრუქტურების ოფიციალურ ვებ გვერდებსა და გამოცემებში არ იძებნება ეროვნული ვალუტით გამოსახული ცხრილში დაფიქსირებილი პერიოდის, (განსაკუთრებით 2021 წლის) მონაცემები, ცხრილი #3 შეგენილია ამავე წყაროებში არსებული-უცხოურ ვალუტაში გამოხატულ პარამეტრებში, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულების კლების მაჩვენებელი გადაყვანილია აშშ დოლარებში.

(მლრდ აშშ დოლ)	*0,210*	*0,282*	*0,326*	*0,252*	*0,627*
ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*134,3%*	*155,2%*	*120,0%*	*298,6%*
ხვედრითი წილი მშპ-სთან	*1,3%*	*1,6%*	*1,9%*	*1,6%*	*3,4%*

როგორც ცხრილი#3-ით წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფენ, 2017-2021 წლებში ლარის ინფლაციისაგან დაცულ, აშშ დილარში გამოხატული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5 მილიარდი აშშ. დოლარით (15,4%-ი) ზრდის პირობებში, ასევე აშშ. დოლარებში გადაანგარიშებული ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მომსახურებისათვის განკუთვნილი (ქვეყნიდან უცხოური ვალუტის სახით გადინებული) თანხების ზრდა მნიშვნელოვნად მაღალ 2,1 მილიარდი აშშ. დოლარის, 198 პროცენტული ერთეულის დონეზე ფიქსირდება და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,4%-ს შეადგენს.

ეროვნული ბანკის საერტაშორისო რეზერვებად მიჩნეული უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გადინების არასასურველი ტენდენციის პარალელურად საანალიზო პერიოდში 830 მილიონი დოლარით-თითქმის სანახევროდ (40,0%-ული ერთეულით) მცირდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. რაც ქვეყნის საფინანსო სისტემისა და მთლიანად ეკონომიკის გამართული ფუნქციონირების დამაბრკოლებელ საშიშ გარემოებას წარმოადგენს.

შექმნილ სიტუაციას არსებითად ვერ ცვლის ამავე პრიოდში ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდოს მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის 1,1 პროცენტული ერთეულით შემცირების პოზიტიური ტენდენცია, მით უმეტეს იმ პირობებში, რომ აღნიშნილ პერიოდში 600,0 მილიონი დოლარით, ანუ 11,3%-ული ერთეულით იზრდება უარყოფითი სავაჭრო სალდოს აბსოლუტური მაჩვენებელი.

საქართველოს ეკონომიკის წინაშე სადღეისოდ არსებულ პრობლემათა სიმძიმეს განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოს ორ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პარტნიორთან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სავაჭრო კავშირების მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის მოსალოდნელი საფრთხე. (იხ. ცხრილი#4)

საქმე ისაა, რომ ცხრილ#4-ში დაფიქსირებული მონაცემების თანახმად 2017-2021 წლებში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების ზრდის პარალელურად ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც საქართველო-უკრაინის, ისე საქართველო-რუსეთის ფედერაციას შორის საქონელბრუნვის მაჩვენებლებლები.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი პარამეტრები

(მიმდინარე ფასებში, ათასი აშშ. დოლარი) [3]

ცხრილი # 4

	2017	*2018*	*2019*	*2020*	*2021*
საქონლის რეგისრირებული ექსპორტი *FOB*	***2 745,7***	***3 379,7***	***3 798,4***	***3 343,4***	***4 242,3***
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*123,1%*	*138,3%*	*121,8%*	*154,5%*
ექსპორტი რუსეთის ფედერაციასთან	***397,9***	***437,7***	***497,0***	***441,1***	***610,1***
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*110,0%*	*124,9%*	*110,9%*	*153,3*
ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტთან	*14,5%*	*13,0%*	*13,1%*	*13,2%*	*14,4%*
ექსპორტი უკრაინასთან	***127,4***	***179,5***	***250,9***	***217,5***	***307,4***
ზრდა/კლება 2017=100%	*10 0,0%*	*140,9%*	*196,9%*	*170,7%*	*241,3%*
ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტთან	*4,6%*	*5,3%*	*6,6%*	*6,5%*	*7,2%*
საქონლის რეგისრირებული იმპორტი *CIF*	***8 057,1***	***9 361,4***	***9 519,5***	***8 052,8***	***10 099,8***

[3] . სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categ ცვლილებების ories/35/sagareo-vachroba

ზრდა/კლება 2017=100%	*100%*	*116,2%*	*118,2%*	*99,9%*	*125,4%*
იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან	***789,6***	***934,7***	***977,1***	***888,4***	***1 023,2***
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*118,4%*	*123,7%*	*112,5%*	*129,6%*
ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტთან	*9,8%*	*10,0%*	*10,3%*	*11,0%*	*10,1%*
იმპორტი უკრაინიდან	***447,2***	***514,9***	***415,6***	***390,5***	***451,8***
ზრდა/კლება 2017=100%	*107,0%*	*115,1%*	*92,9%*	*87,3%*	*101,0%*
ხვედრითი წილი მთლიან იმპორტთან	*5,6%*	*5,5%*	*4,4%*	*4,8%*	*4,5%*
საქართველოდან უკრაინასა და რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის ჯამური მაჩვენებელი	***525,3***	***617,2***	***747,9***	***658,6***	***917,5***
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*117,5%*	*142,4%*	*125,4%*	*147,7%*
ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტთან	*19,1%*	*18,3%*	*19,7%*	*19,7%*	*21,6%*
საქართველოში უკრაინასა და რუსეთის ფედერაციიდან იმპორტის ჯამური მაჩვენებელი	***1236,8***	***1449,6***	***1392,7***	***1278,9***	***1475,0***
ზრდა/კლება 2017=100%	*100,0%*	*117,2%*	*112,6%*	*103,4%*	*119,3%*
ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტთან	*15,4%*	*15,5%*	*14,6%*	*15,9%*	*14,6%*

აღნიშნული ტენდენციების პარალელურად ასევე პოზიტიურ მოვლენად უნდა მივჩნიოთ ქვეყნიდან განხორციელებული ექსპორტის ზრდის, იმპორტის ზრდის მაჩვებლებელზე საკმაოდ მაღალი ტემპის არსებობა. აღნიშვნას იმსაურებს ის გარემოებაც, რომ ანალოგიური ტენდენცით ხასიათდება როგორც საქართველო-უკრაინის ისე საქართველო-რუსეთის ფედერაციას შორის არსებული საქონელბრუნვის მაჩვენებლებიც.

ზემოაღნიშნულის პარალელურად ასევე ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ცხრილ#4-ით წარმოდგენილი მონცემების შესაბამისად, საქართველოდან უკრაინასა და რუსეთის ფედერაციაში განხორციელებული ექსპორტის ჯამური მაჩვენებლი 2017 წლიდან 2021 წლამდე 47,7% პროცერნტული ერთეულით არის გაზრდილი და ქვეყნიდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 21,6%-ს უტოლდება.

ხოლო ამავე პერიოდში უკრაინიდან და რუსეთის ფედერაციიდან საქართველში განხორციელებული იმპორტის ჯამური მაჩვენებლი მხოლოდ 19,3 პროცენტული ერთეულით იზრდება და 2021 წლისათვის ამ ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტი, ქვეყნის იმპორტის საერთო ოდენობის 14,6%-ს უტოლდება.

ცხრილ #4-ით წარმოდგენილი ქვეყნის საგარეო საქონელბრუნვის დადებითი ტენდენციების პარალელურად, შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს რუსეთ-უკრაინის ომის ზემოქმედებით საქართველოს მთლიანი ექსპორტის 21,6%-ისა და მთლიანი იმპორტის 14,6%-ის დონეზე არსებული საქონელბრუნვის კარდინალური ტრანსფორმაციის ის მოლოდინი რომელმაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკის ჩვეულ რითმში ფუნქციონირების პროცესს.

საკითხის აქტუალობას განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს უკანასკნელ პერიოდში საქართვლოსათვის პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილების სასოფლო სამეურნეო პროდუქციზე სამომხმარებლო ფასების ზრდის ცხრილ#5-ში დაფიქსირებული არასასურველი ტენდენციები.

ძირითადი და სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსები *(მიმდინარე ფასებში, ათასი აშშ. დოლარი)* [4]

ცხრილი #5

	2017	***2018***	***2019***	***2020***	***2021***
ხორბლის ფქვილი	102,6	102,8	113,2	115,3	117,6

[4] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020; 2021, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/single-categories/102/sakartvelos-soflis-meurneoba

საქონლის ხორცი	112,6	105,7	112,8	110,5	101,1
თევზის კონსერვი	107,5	104,9	107,8	121,5	115,8
რძე და რძის პროდუქტები	109,1	101,5	108,5	116,1	109,0
კვერცხი	105,8	103,4	102,8	105,8	126,3
კარაქი და ცხიმი	106,3	103,6	101,4	113,8	136,8
მზესუმზირის ზეთი	101,4	100,4	101,4	116,8	166,1
კარტოფილი	111,7	106,9	117,8	101,3	99,9
შაქარი, ყავა, ჩაი	107,4	93,1	106,1	111,2	116,2

პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილების სასურსათო პროდუქციაზე სამომხმარებლო ფასების ზრდის ცხილი#5-ით წარმოდგენილი მონაცემები ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ცალსახად უარყოფითი ზეგავლენის და აქედან გამომდინარე უარყოფითად შეფასების მიუხედავად, ჩვენი აზრით გაუმართლებელი იქნებოდა მისი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასტიმულირებელ ფაქტორად არ გამოყენება.

აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს უახლოეს მომავლისათვის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ უკრაინის რეაბილიტაციისათვის განკუთვნული დახმარებების ზრდის მოლოდინი და ამის შედეგად საქართველოსათვის გამოსაყოფი დახმარებების შემცირების დიდი ალბათობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვნად დაამძიმებს ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებების (მათ შორის სურსათის იმპორტის) დაფინანსების შესაძლებლობებს. ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის დასაფინანსებლად ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინება უარყოფ ასახვას ჰპოვებს ეროვნული ვალუტის კურსის სასურველ დონეზე შენარჩუნების საკითხზე და დამატებით იმპულსს მისცემს ინფლაციის ზრდის პროცესს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტიმულირება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრეს მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების სტიმულირების აუცილებლობა

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული ძალისხმევის მიუხედავად მიღწეული შედეგები ძნელია დამაკმაყოფილებელად იქნეს მიჩეული, რადგან სოფლის მეურნეობის სტიმულირებისათვის საქართველოს სახელმწიფო თუ უცხოური დონორი ორგანიზაციების ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სოლიდური ფინანსური სახსრების ეფექტურ გამოყენებად ძნელია საქართველოს დაცარიელებული სოფლები იქნენ მიჩნეულნი.

ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შექმნილი სიტუაციის დაძლევისა და დარგის განვითარებისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ამავე სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქმიანობის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით და ამავე წლის 27 იანვარის N 139 განკარგულებით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად განხორციელებული მრავალრიცხოვანი პროგრამა-პროექტების (მათ შორის თხილის წარმოების გაუმჯობესების პროექტი; კარტოფილის პროგრამა საქართველოში; მავნებლებთან ბრძოლის ინტეგრირებული მართვის პროექტი აფხაზეთში; სოფლის მეურნეობის პროგრამა და სხვა) მიუხედავად თუ მხედველობაში მივიღებთ დიაგრამა#1-ში დაფიქსირებულ მონაცემებს აბსოლუტურად ცხადია ზემოაღნიშნული ძალისხმევის დეტალური ანალიზის, არსებული პრობლემების იდენტიფირებისა და აღმოფხვრის გზების ძიების აუცილებლობა.

დიაგრამა #1



ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სადღეისოდ განსაკუთრებული ყურადღების საგანად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დაბრკოლებელ ფაქტორად მიჩნეული ის მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება რომლის თანახმად:

-„მცირე საწარმოო პოტენციალის მქონე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში ასევე მცირე სასაქონლო პარტიებით წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვერ უზრუნველყოფს მისი წარმოების, ტრანსპორტირებისა და რეალიზების პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს. რაც ქმნის სიტუაციას რომლის პირობებშიც ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში შექმნილი პროდუქცია კარგავს ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე მოხვედრის ეკონომიკურ მოტივაციას.“

„აქედან გამომდინარე აბსოლუტურად ცხადია სადღისოდ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის მასტიმულირებელი ფაქტორის გააქტიურების აუცილებლობა.“ (პ. გიორგაშვილი, დ. ჭელიძე ., 2013, გვ. გვ. 198-208).

წარმოდგენილი მოსაზრებზე მეტყველებს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში შექმნილი სიტუაცია. კერძოდ საკარმიდამო გლეხურ მეურნეობებში მცირე სასაქონლო პარტიებით წარმოებული ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ტყემალი, მსხალი, ვაშლი, დაფნა და სხვა) რეალიზაციის პროცესში წლების მანძილზე არსებული პრობლემების ზეგავლენით, უახლეს ისტორიულ წარსულში დიდი ოდენობით წარმოებული ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოო პოტენციალის (მათ შორის ნათესი ფართობების) მინიმუმამდა დაიყვანის ფაქტების არსებობა.

აღნიშნულმა რეალობამ სადღეისოდ თითქმის შეუძლებელი გახადა ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის კონკრეტული სახეობის (ყურძნის და ციტრუსის გარდა) ერთგვაროვანი სასფლო-სამეურნეო ნედლეულის იმ ოდენობით წარმოება რომელიც უზრუნველყოფდა ამ პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების წლის მანძილზე (ახალი მოსავლის მიღებამდე) უწყვეტ ფუნქციონირებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადმამუშავებელი საწარმოების ადგილობრივი ნედლეულით უწყვეტი ფუნქციონირების პრობლემამ ავტომატურად შექმა ამ საწარმოების კუთვნილი მაღალი საბალანსო ღირებულების მოწყობილობა-დარგების მოცდენის მეტად არასასურველ

რეალობა. შექმნილმა სიტუაციამ საქართველოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ დარგებში დასაქმებული მეწარმეების დიდი უმრავლესობის შეზღუდული ფინანსური პოტენციალის პირობებში მნიშვნელოვნად დაამძიმა, საწარმოებისათვის ფიქსირებული (წარმოებული-რეალიზებული პროდუქციის მოცულობასთან კავშირში არ მყოფი) ხარჯის სახით არსებული და აქედან გამომდინარე, მძიმე ფინანსური დატვირთვის მატარებელი ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

დასკვნა

შექმნილი სიტუაციის დაძლევისა და ქვეყანაში სასფლო-სამეურნე პროდუქციის გადამამუშავებელ ინდუსტრიის სტიმულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ საწარმოთა კუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულებიდან განთავისუფლება. რისთვისაც „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს 206-ე მუხლის პირველ ნაწილის „ჯ[1]“ ქვეპუქტი, (რომელიც სადღეისოდ უზრუნველფს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქონების (გარდა მიწისა) 2023 წლის 1 იანვრმადე გადასახადიდან განთავისუფლებას) ჩამოყალიბებული უნდა იქნეს შემდეგი რედაქციით:

-„ჯ[1]) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გდამამუშავებელი საწარმო(ები)ს ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ(ებ)ის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;“

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის მიღება-ამოქმედება ჩვენი აზრით დადებითი ფინანსური იმპულსის პარალელურად მეტად პოზიტიურ ზემოქმედებას იქონიებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების განვითარების სტიმულირების პროცესზე.

ეკონომიკის განვითარების ციკლური ბუნებით განპირობებულ ცვლილებებისკენ მიდრეკილ და აქედან გამომდინარე ძნელად პროგნოზირებადი სამეწარმეო გარემოს სირთულეებ საქართველოს სადღეისო რეალობაში კიდევ უფრო ამძიმებს საქრთველოს საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილებები და მისი ცალკეული დებულებების მრავალმხრივი ინტერპრეტირების შესაძლებლობა.

შექმნილი სიტუაცია მეწარმეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის განსაკუთრებული რისკების მატარებელ მოვლენად მიიჩნევა რადგან, სავსებით რეალურია მათი საგადასახადო შემოწმების პროცესში მაკონტროლი ორგანოს წარმომადგენლ(ებ)ის მხრიდან ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმის განსხვავებულმა ინტერპრეტირებამ მათთვის უმძიმესი ფინანსური სანქციების დაწესება გამოიწვიოს.

აქედან გამომდინარე ქვეყნის სამეწარმეო პრაქტიკაში განსაკუთრებული დატვირთვის საკანონმდებლო ნორმად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების არსებული პრაკტიკა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედი მეწარმე სუბიექტის მიმართ არ დაიშვება მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან, წინასწარი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მიდგომის გამოყენება. შედეგად აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარგებლე მეწარმეები ავტომატურად თავისუფლდებიან მათ მიართ სანქცია-საურავების ამოქმედების საშიშროებიდან.

აღნიშნულის გათვალსწინებით აბსოლუტურად ცხადია, ნებისმირი მეწარმე სუბიექტისათვის, პროგნოზირებადი და უსაფრთხო სამეწარმეო გარემოში ფუნქციონირებისათვის, რაოდენ მნიშვნელოვანია წინასწარი გადაწყვეტილების მოპოვების შესაძლებლობა.

აღნიშნული საკანონმდებლო პრაქტიკის არსებობა ერთი შეხედვით დადებითი შეფასების საგანს წარმოადგენს. თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წინასწარი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მიდგომების გამოიყენების შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ იმ პირს რომლის დაკვეთითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ხოლო მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიერ

პრეცედენტული სამართლის ფართოდ გამოყენების პირობებში სხვა პირის მიერ განხორციელებულ იდენტურ ოპერაციებზე არ შეიძლება გადაწყვეტილების გამოყენება სრულიად ლოგიკურად იბადება კითხვა რა განაპირობებს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებული გადაწყვეტილების გასაიდუმლოების ლოგიკურობას.

წინასწარი გადაწყვეტილების სხვა პირების მიმართ არ გამოყენების საკითხისადმი კრიტიკულ დამიკიდებულებას კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ამავე მუხლის მე-4 ნაწილის დებულება სადაც ფიქსირდება, რომ: -"სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული იდენტური ოპერაციების მიხედვით არ შეიძლება გამოიცეს განსხვავებული წინასწარი გადაწყვეტილება".

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების „მექანიზმის" მიღება-გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ჩვენი აზრით განსაკუთრებით აღრმავებს ის ფაქტი, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილებით, საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილება გამოიცემა მაღალი საფასურის 10 000 ლარის (ხოლო რეზიენტი ფიზიკური პირებისათვის 5 000) გადახდის შემდგომ.

აღნიშნული გარემოება ჩვენი აზრით ქმნის იმ სრულიად გაუმართლებელ სიტუაციას რომლის პირობებში, ფინანსურად ძლერ მეწარმე სუბიექტებს, მაღალი საფასურის გადახდის შემდგომ, პრივილეგირებულ სამეწარმეო გარემოში ფუნქციონირების შესაძლებლობა უკანონდებათ. აღნიშნული კი სრულად ეწინააღმდეგება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად მიჩნეულ ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულით განპირობებული სიტუაციის დაძლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის დაწესებული საფასურის გაუქმება. რეისთვისაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #96 დადგენილების მე-14 გრაფის ამოღებული უნდა იქნეს დოკუმენტის ტექსტიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020-2021 წლები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ა. ხუციშვილი, ლ. ჭელიძე, დ. ჭელიძე „საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები" აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სამეცნიერო შრომების კრებული #1 აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2019 გვ. 31.

პ. გიორგაშვილი, დ. ჭელიძე „საგადასახადო კანონმდებლობა როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორი" ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი" 2013 წელი #2 გვ. 198-208.

საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი" 2010 წლის 17 სექტემბერი .

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,
https://www.geostat.ge/ka/modules/categცვლილებების ories/35/sagareo-vachroba

References:

Agriculture of Georgia 2020-2021, National Statistics Service of Georgia.

A. Khutsishvili, L. Chelidze, D. Chelidze "Dynamics of Georgia's State Debt and Peculiarities of Management" Eastern European University Collection of Scientific Works #1 Publishing House of Eastern European University, Tbilisi 2019 p. 31.

P. Giorgashvili, D. Chelidze "Tax legislation as a stimulating factor of agricultural development" Magazine "Business Engineering" 2013 year #2 p. 198-208.

Law of Georgia "Tax Code of Georgia" September 17, 2010.

Resolution N96 of the Government of Georgia dated March 30, 2010 "On the approval of fees and their rates for the provision of services by a public law legal entity - revenue service".

Ministry of Finance of Georgia https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit

National Statistical Service of Georgia, https://www.geostat.ge/ka/modules/categzvlibebebisories/35/sagareo-vachroba